საპროექტო ტერიტორიის მიმოხილვა და რეკომენდაციები

რუსთაველის პროსპექტის ჩასახვისა და განვითარების რეტროსპექტივა



გარეუბანი და მთაწმინდა, 1910-იანი წწ.



გარეუბანი და მთაწმინდა, 2008წ.

რამდენიმე წლის წინ, რუსთაველის პროსპექტის №12-ში მდებარე ნაგებობის ახალი მფლობელის მიერ, წარმოიშვა საპროექტო წინადადება, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იყო ამ ნაგებობის, ყოფილი კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობის, რეკონსტრუქცია, ან მის ნაცვლად ახალი ნაგებობის დაპროექტება. წინასაპროექტო სამუშაოების პროცესში სხვადასხვა მკვლევარის მიერ დამუშავდა ამ მიკროუბნის ორი ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, სადაც სრულად არის აღწერილი უბნის ურბანული განვითარების ისტორია, ასევე განხილულია ამ ნაგებობის თავდაპირველი სახე და შემდეგდროინდელი ცვლილებები და მოცემულია საპროექტო რეკომენდაციები.

რუსთაველის პროსპექტის ჩასახვისა და განვითარების ისტორია ასევე, ჩვენი ჯგუფის მიერაც არის შესწავლილი, მახლობლად წარმოებულ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით. ამიტომ აღარ შევუდგები უბნის დაწვრილებით ისტორიულ-არქიტექტურულ მიმოხილვას, რისი ნახვაც შეიძლება ზემოთ აღნიშნულ კვლევებში და ამჯერად შემოვიფარგლები მხოლოდ მოკლე რეტროსპექტული ექსკურსით და მეთოდური რეკომენდაციებით ზოგადად რუსთაველის პროსპექტზე, და კერძოდ №12-ში ახალმშენებლობასთან დაკავშირებით.


შემსრულებელი:
ხელოვნებათმცოდნე - გია ჭანიშვილი

გამოყენებულია მასალა ისტ.-ბიბლიოგრაფიული კვლევიდან – რუსთაველის პრ. №7. ავტორი – *ხელოვნებათმცოდნე*, გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
თბილისი
აპრილი
2014

საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობა


საპროექტო ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილ გარეთუბანში (ძველი თბილისის გამგეობა) – **რუსთაველის პროსპექტი №12.** აქ დგას ყოფილი კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობა, რომლის უკანა მოზრდილი მონაკვეთი დაინგრა 1991/92 წლების სამოქალაქო დაპირისპირების დროს. ნაგებობას სამხრეთიდან ესაზღვრება ლესია უკრაინკას ქუჩა.



აეროფოტო 2006წ.

საპროექტო ტერიტორია

პროექტით გათვალისწინებულია ნაგებობის რეკონსტრუქცია ან მის ნაცვლად ახალი შენობის აგება მრავალფუნქციური კულტურულ-კომერციული კომპლექსის სახით.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

საპროექტო ტერიტორია

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

სასტუმრო თბილისი – შოთა რუსთაველის პრ. №13;
ქაშუეთის ეკლესია – შოთა რუსთაველის პრ. №9/2;
პარლამენტის შენობა – შოთა რუსთაველის პრ. №8;
თბილისის I გიმნაზია – შოთა რუსთაველის პრ. №10/2;
საცხოვრებ. სახლები – რუსთაველის პრ. №14,16;

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

რუსთაველის პროსპექტის რეტროსპექტივა და დღევანდელი სახე

აქ, წარმოდგენილია რუსთაველის პროსპექტის ზოგადი არქიტექტურული სახის რაობის ჩვენეული ხედვა. მოცემული მიკროუბნის ადგილი ამ განაშენიანებაში და თვით საპროექტო ნაგებობის და წარსულში მის ადგილზე მდგომი ნაგებობების მიმართება რუსთაველის პროსპექტის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესთან და ზოგადი კონცეპტუალური მოსაზრება რუსთაველის პროსპექტის განვითარების შესახებ, აქ შესაძლო ახალმშენებლობების შემთხვევაში.

აქვე წარმოდგენილია პროსპექტის განვითარების რამდენიმე არსებითი დროითი მიჯნის რეტროსპექტული სურათი, რათა ადვილად იყოს გასაგები პროსპექტის განვითარების ძირითადი ინტენციები.

პროსპექტი დაიგეგმა 1830-იან წლებში ქალაქში ჩრდილოეთიდან მომავალ გზაზე და ძირითადი პარამეტრები XIX ს-ის 50-იან 60-იან წლებში შეიძინა. აქ ძირითადად განსაზღვრული იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა. განაშენიანების განვითარება თავიდანვე ევოლუციურად მიმდინარეობდა. პროსპექტზე ხორციელდებოდა იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში ევროპიდან გავრცელებულ არქიტექტურულ სტილთა რეალიზება. ამასთან შენობათა ფასადებსა და სტრუქტურაში ითვალისწინებდნენ ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციებსაც. თავდაპირველად პროსპექტის პერიმეტრი შეკრული იყო ორ-სამსართულიანი სახლებით რომელთა ფასადები მორთული იყო ხის კიდული აივნებით. ამ სახლებში ძირითადად სასტუმროები იყო განთავსებული.


XX ს-ის დასაწყისში არტისტული საზოგადოების სათეატრო შენობის აგების (1902წ.) და ქაშუეთის ახალი ეკლესიის აღმართვის შემდეგ (1910წ.), პრაქტიკულად ჩამოყალიბდა პროსპექტის არქიტექტურული სახე. ეს იყო თბილისის ყველაზე განიერი ქუჩა მაღალხარისხიანი და გამორჩეული შენობებით.

XX ს-ში აქ ძველი ნაგებობების ადგილას შენდებოდა მხოლოდ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაგებობები, შესაბამისი დროის არქიტექტურული სტილით.

1930-იან წლებში აშენდა ორი კონსტრუქტივისტული ნაგებობა – კავშირგაბმულობის სახლის შენობა და „ზარია ვოსტოკას“ რედაქცია. ამავე დროისაა კლასიცისტური იერის კინოთეატრი „რუსთაველი“, 1930-იანი წლების არქიტექტურული ელემენტებით. 1940-50-იან წლებში აშენდა „სტალინური არქიტექტურის“ მთავრობის სასახლე და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის შენობა, ეროვნული არქიტექტურის ნიშნებით. ასევე ამავე ხასიათის ნაგებობად გადაკეთდა კავშირგაბმულობის სამინისტროს კონსტრუქტივისტული შენობა. დაბოლოს აიგო ფოსტა-ტელეგრაფის შენობა 1970-იანი წლების ესთეტიკით – მინა-რკინაბეტონში, მოპირკეთებული ცოცხალი ქვით.

ამ ნაგებობათა ზოგად არქიტექტურულ სახეში გათვალისწინებული იყო აქ ადრე არსებული არქიტექტურული ესთეტიკა და ამავე დროს შემოჰქონდათ ახალიც. დღესაც განვითარება ამ მიმართულებით უნდა ხდებოდეს.

ნაგებობები თანდათან იზრდებოდა მოცულობაში, თუმცა არც ერთი მათგანი არ იყო ამოვარდნილი თავისი მასშტაბით უკვე არსებული განაშენიანების პარამეტრებიდან. გამონაკლისს წარმოადგენს მთავრობის სასახლე, რომელიც პროსპექტიდან ღრმად არის უკან დახეული და ტერასულად „იზრდება“ მოსწავლეთა სასახლის და I კლასიკური გიმნაზიის შენობის მოცულობებიდან.



გოლოვინის პრ. 1870-იანი წწ.



გოლოვინის პრ. 1870-იანი წწ.



გოლოვინის პრ. 1880-იანი წწ.

დასრულებულია განაშენიანების I ეტაპი. ორ-სამსართულიანი სახლები ხის კიდული აივნებით.



გოლოვინის პრ. 1900-იანი წწ.



გოლოვინის პრ. 1910-იანი წწ.



1910-იანი წწ. – გოლოვინის პროსპექტი


განაშენიანების II ეტაპი – 1900-იანი წწ. არტისტული საზოგადოების შენობის, სასტუმრო „მაჟესტიკის“, ქაშუეთის და სამხედრო ტაძრების აგების შემდეგ პროსპექტმა შეიძინა ახალი მასშტაბი.



რუსთაველის პრ. 1950-იანი წწ



რუსთაველის პრ. 2000-იანი წწ



განაშენიანების III ეტაპი – 1950--იანი წწ. მთავრობის სასახლის აგების და კავშირგაბმულობის სახლის რეკონსტრუქციის შემდეგ. პროსპექტმა დაიმკვიდრა საბოლოო მასშტაბი.

რუსთაველის პრ. 1870-იანი წწ

არქიტექტურის მხატვრული ანალიზი



რუსთაველის პროსპექტის ეს მონაკვეთი გამორჩეულია თავისი მდებარეობით, ფუნქციური დატვირთვითა და მხატვრული გადაწყვეტით. ამ ქუჩის საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო, სამხედრო და ადმინისტაციული ფუნქცია უკვე XIX ს-ის ბოლოს გამოიკვეთა, რაც ფაქტობრივად, დღემდეა შეინარჩუნებული. აქ განთავსებულია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, კინოთეატრი „რუსთაველი“, ქაშუეთის ეკლესია, საგამოფენო დარბაზი, მოსწავლეთა და ახალგაზრდობის სასახლე, საქართველოს პარლამენტის შენობა, თბილისის I გიმნაზია, და სხვა.



პროსპექტის დასაწყისი

პროსპექტი იწყება თავისუფლების მოედნიდან. მოცულობები თავიდანვე მასშტაბურია და სოლიდური. დინჯი რიტმი და სიხალვათე განსაკუთრებულ მნიშვნელოვნებას და თავისებურ ხასიათს სძენს ამ მონაკვეთს. ქუჩა იწყება ფსევდოკლასიცისტური სტილის ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლით (1939წ). ამ ნაგებობის სტრუქტურა ითვალისწინებს რუსთაველის პროსპექტის განაშენიანების ხასიათს და რბილად ეწერება ქუჩის სივრცით კომპოზიციაში. მოპირდაპირე მხარეს კონსტრუქტივისტული ტიპის უნივერმაღის შენობა (არქიტ. რ. ბაირამაშვილი დ. მორბედაძე - 1975წ) და მეტროს სადგურ „თავისუფლების მოედნის“ ზედა ნაგებობაა (1964წ).



ეროვნული მუზეუმის შენობა

შემდეგ პროსპექტის საპირისპირო მხარეს, ერთმანეთის პირისპირ დგას საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოზრდილი შენობა, ეროვნული და აღმოსავლური მოტივების ეკლექტიკური ნაზავით (1927წ) და მოსწავლეთა და ახალგაზრდობის ფსევდორენესანსული მიდრეკილებების მქონე სასახლე (მთავარმართებლის ყოფილი სასახლე 1869წ).





ანალოგიური მასშტაბი აქვს რუსთაველისა და ფურცელაძის ქუჩების კუთხეში აღმართულ, კლასიკური არქიტექტურის საფუძველზე აგებულ კინოთეატრ „რუსთაველს“. ქუჩის ამ განაშენიანებაში კარგად იყო ჩაწერილი მხატვრის სახლის ეკლექტიკური შენობა (ყოფილი სასტუმრო „ორიანტი“ 1867წ. გადაკეთებული 1895წ), რომელიც სამწუხაროდ აღარ არსებობს.



ამ პროსპექტისთვის დომინანტურია კლასიკური რეპერტუარის შემცველი, საქართველოს პარლამენტის მასშტაბური შენობა. ასევე საკმაოდ მასშტაბურია თბილისის I გიმნაზია, კავშირგაბმულობის შენობა და „ქაშუეთი", ხოლო მათთან შედარებით კამერულად გამოიყურება ბაღის წინ მდგომი ე. წ. ცისფერი გალერეა.



სხვადასხვა სტილისა და პერიოდის ნაგებობებათა ამ განსხვავებული მხატვრული გადაწყვეტის მიუხედავად არ არის დარღვეული ქუჩის ერთიანი მასშტაბი და რიტმი. ყოველი ახალი ნაგებობის მხატვრულ სახეში გათვალისწინებულია უკვე არსებული არქიტექტურული ერთეულების მხატვრულ-ისტორიული ღირებულება. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ნაგებობები შესრულების მაღალი ოსტატობით და ხარისხით გამოირჩევა. ყოველივე ეს რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურას ერთიან ხასიათს ანიჭებს და გარკვეული ანსამბლურობის სახეს სძენს მას.

დასკვნა და რეკომენდაციები

როგორც ვხედავთ რუსთაველის პროსპექტზე განაშენიანების განვითარება მიმდინარეობდა ევოლუციურად და ყოველ კონკრეტულ ეპოქას მისთვის დამახასიათებელი მხატვრულ-არქიტექტურული ცვლილებები შეჰქონდა. თუმცა სხვადასხვა სტილისა და პერიოდის ამ ნაგებობათა მშენებლობის დროს მუდმივად ითვალისწინებდნენ უკვე არსებული განაშენიანების მხატვრულ-ისტორიულ ღირებულებას, ცალკეულ შენობათა ხასიათს და ამგვარი ცვლილებები ეხებოდა, როგორც თავისუფალ ადგილზე წარმოებულ ახალმშენებლობას, ასევე უკვე არსებული ნაგებობების რეკონსტრუქციის პროცესსაც.

ასე მაგალითად: XIX ს-ის I ნახევარში აგებული მთავარმართებლის სასახლე სამჯერ გადაკეთდა თანადროული არქიტექტურული ესთეტიკით და საბოლოო სახე მიიღო 1869 წელს. ამავე დროის ხასიათით შეიცვალა 1830-იან წლებში აგებული თბილისის I გიმნაზიის ფასადებიც. 1895 წელს სასტუმრო „ორიანტად“ გადაკეთდა და შეეცვალა ფასადი 1867წ. აგებულ შენობას, ხოლო ეროვნული მუზეუმის და კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობებს უკვე 1930-იანი წლების არქიტექტურული ესთეტიკის ბეჭედი ადევს. იგივე უნდა ითქვას 1930-იან წლებში აგებულ საცხოვრებელ სახლზეც – №1.

ქრონოლოგიურად უკანასკნელი შენობა მთავრობის სასახლეა (საქართველოს პარლამენტის შენობა), რომელიც აქ აიგო 1938-1953 წლებში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დანგრეული სამხედრო ტაძრის ადგილას. სასახლის ამ ნაგებობათა კომპლექსის პროექტის დამტკიცებას წინ საკონკურსო შეჯერების ხანგრძლივი პროცესი უძღოდა.

ასეთივე ვითარებაა ჯორჯაჯისა და თაბუკაშვილის ქუჩებზეც. ყოფილ ალექსანდრეს ბაღში, გვიანი შუასაუკუნეების ქაშუეთის ეკლესიის ძველი შენობის ნაცვლად, 1910 წელს აშენდა ქაშუეთის ეკლესიის ახალი შენობა (არქიტექტ. ლ. ბილფელდი). ხოლო თაბუკაშვილის ქუჩაზე XIX ს-ის შუა პერიოდის მცირე ზომის ნაგებობების ნაცვლად XIX-XX სს-ის მიჯნაზე, აშენდა ფსევდორენესანსულ ელემენტებიანი ეკლექტიკური იერის ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით ალბათ საყოველთაო აზრი უნდა იყოს, რომ აქ ახალმშენებლობა ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა და სასურველია განხორციელდეს საგანგებოდ გამორჩეული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება ის საბაზისო კრიტერიუმები რითიც იხელმძღვანელებენ პროექტანტები და რაც დაეხმარებათ მათ ამ რთული ამოცანის გადაწყვეტისას.

ერთის მხრივ, ალბათ არაშემოქმედებითი მიდგომა უნდა იყოს აქ არსებული არქიტექტურული რეპერტუარის მექანიკური გამეორება, რასაც ხშირ შემთხვევაში ბუტაფორიულობამდე მივყავართ – მაგრამ ამავე დროს ზედმეტად თამამმა ახალმა ფორმებმა შესაძლოა დაარღვიონ პროსპექტის დინჯი და გაწონასწორებული არქიტექტურული რიტმი და ეს არითმიულობა განსაკუთრებით თვალში საცემი იქნება ქაშუეთის ტაძრის და კლასიცისტური არქიტექტურული ესთეტიკის ნაგებობების უშუალო სიახლოვეს.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ წარსული გამოცდილების გათვალისწინებით რუსთაველის პროსპექტზე უპრიანი იქნება ისეთი მოცულობის და მხატვრული იერის მქონე ნაგებობის დაპროექტება, რომელშიც ასახული იქნება დღევანდელი ეპოქის მხატვრულ-არქიტექტურული სახე, მაგრამ არ იქნება ამოვარდნილი ისტორიული განაშენიანების ზოგადი არქიტექტურული კონტექსტიდან.

ამგვარად, რუსთაველის პროსპექტზე ახალმშენებლობისას რამდენიმე მიმართულებითაა საჭირო ყურადღების გამახვილება.

ყურადსაღებია მომიჯნავე, ვიწრო ქუჩების განაშენიანება. ამ ქუჩებს საკუთარი არქიტექტურული ესტეტიკა და მასშტაბები აქვთ. ამიტომ თუ რუსთაველზე მდგარი ნაგებობა გადის ამ ქუჩებზე, ეს გარემოებაც გასათვალისწინებელია.

გასათვალისწინებელი ასევე ქაშუეთის ეკლესიის ქვის არქიტექტურა. საერთოდ რუსთაველის პროსპექტის შენობათა ფასადებისათვის დამახასიათებელია ადგილობრივი მოსაპირკეთებელი ქვის მასალის სიუხვე. აქ ფასადების სახის ზოგადი სქემა ამგვარია – კლასიკური არქიტექტურის კომპოზიციურ საფუძველთან შეთანხმებული ქართული ეროვნული არქიტექტურის ტრადიციები.

ორ უკანასკნელ ათწლეულში ყოველივე ეს არ იქნა გააზრებული როდესაც მოხდა რუსთაველის პროსპექტის უკან თბილისის ომის დროს დამწვარი ნაგებობების ნაცვლად ახალი შენობების აგება. რომ არაფერი ვთქვათ ამ ნაგებობათა უმეტესობის დაბალ არქიტექტურულ ღირებულებაზე, აქ არსებული რელიეფის და ისტორიული განაშენიანების გაუაზრებლად ამოქმედებულმა ეკონომიკურმა და კონიუნქტურულმა არგუმენტებმა, „აჯობა“ ათწლეულების მანძილზე ევოლუციურ, დინჯ და გააზრებულ, წიგნიერ არქიტექტურულ დაგეგმარებას. ახლა მნიშვნელოვანია, რომ იგივე გზით არ ვიაროთ.

აქვე აღსანიშნავია ყოფილი „მხატვრის სახლის“ შენობის პროექტი. აქ არსებული განაშენიანების არსის მექნიკურმა გაგებამ მეორე უკიდურესობაში გადაგვიყვანა. ახალი პროექტი ეკლქტიკური, ზედმეტად სტილიზებული და შედეგად ბუტაფორიული გამოდგა.

ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული იყოს განაშენიანების განვითარების ევოლუციური გზის ტენდენციები;

მნიშვნელოვანია მეხუთე ფასადის სახის დაპროექტება განაშენიანებისათვის ისტორიულად ჩამოყალიბებული (1950-იანი წწ.) სტრუქტურის მიხედვით. ნაგებობათა გადახურვის კომპონენტები კი აქ მსხვილმასშტაბიანი ოთქანობიანი საიბრტყეებია, წვრილი აქცენტების გარეშე. საბურავის ფერი – მუქყავისფერი ტონები;

მნიშვნელოვანია ასევე ფასადებზე განაშენიანების ჩამოყალიბების ეპოქის შესაბამისი პროპორციის შერჩევა სართულთა სასიმაღლო რანჟირებისათვის;

სასურველია ქვის პერანგის საფასადო სიბრტყეების მოზრდილი მონაკვეთებით მოდელირება;

მნიშვნელოვანია პირველი სართულისთვის მსხვილი მასშტაბის შერჩევა;

საგულისხმოა ეზოს ფასადებისთვის სათანადო არქიტექტურული სახის დადგენა.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ესკიზური პროექტების ფოტომონტაჟი განხორციელდეს სხვადასხვა რაკურსით (ზედხედების ჩათვლით) უბნის მიმდებარე მონაკვეთების ჩართვით, რათა კარგად აღვიქვათ ახალი მოცულობების თავსებადობა არსებულ განაშენიანებაში.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

12. 04. 2014წ.